



ქართული  
რეპერტუარი

# სამჭოთხ სელოვნება

GOBETGROE  
УСКУГГТВО  
SOVIET  
АРТ  
SOWJETKUNST  
АРТ  
SOVIETIQUE



1973

დიდი რამისორის  
ლიტერატურული  
მემკვიდრეობა


# აბესალომ

და

# ეთერი

დრამატული ლეგენდა  
4 ნაწილად

(ხალხური თქმულების  
მიხედვით)



კობე მარჯანიშვილი, როგორც კინორეჟისორი, ექვსი მხატვრული ფილმის ავტორია. მან საქართველოში 1924-ში წლებში დადგა ფილმები „ქარიშხლის წინ“, „სამანშიშელის დედინაცვალი“, „გოგი რატიანი“, „მოცი“, „კრაზანა“ და „კომუნარის ჩიზები“. ამჟამად სამი უკანასკნელისთვის თვითონვე დაწერა სცენარები. მკვრამ კ. მარჯანიშვილს აქვს მრავალი დაუდგმელი კინოსცენარი, მათ შორის: „აბესალომ და ეთერი“ (ხალხური თქმულების მიხედვით), „როსტევან და ქეთევანი“ (ქართული ცხოვრებიდან), „—ჩოუ და ა—ჩო“ (ჭ. ლინდონის მოთხრობის „ა ჩოს“ მიხედვით), „მისი თვალები“ (დაუმთავრებელი), „12 სკამი“ (ი. ილიასა და ე. ბეტროვის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით; დაუმთავრებელი).

ჩვენი უფრალი თავის ფურცლებზე დროდადრო გამოაქვეყნებს კ. მარჯანიშვილის აღნიშნული დამთავრებული კინოსცენარების თარგმანებს. ამჟამად კი მკითხველებს ვთავაზობთ მისი კინოსცენარის „აბესალომ და ეთერის“ თარგმანს, რომელიც პირველად იბეჭდება.

აბესალომი — უფლისწული  
ბედმწიფი } აბესალომის მშობლები  
დედოფალი }  
აბესალომის და  
მურმანი — კარსაკი, აბესალომის ბავშვობის მეგობარი  
სახლოუბუცესი  
საქართველოს კათალიკოსი  
უშვილო დედაკაცი } დაბაკი გლეხები  
უშვილო ბერაკაცი }  
მკითხავე ქალი  
ეთერი  
არწივი  
ბებერი კინკაბ  
ბებრუცუნა  
მათხოვარი

მწირობ  
სპარსეთის შამი  
მღვდელი  
დიაკონი  
მამასახლისი  
მოცეკვავენი საეკლესიო დღესასწაულზე (26)  
მოკიდავენი საეკლესიო დღესასწაულზე (26)  
მხედრები საეკლესიო დღესასწაულზე (26)  
მწივე

1. კ. მარჯანიშვილს უწერია — „ქართველი უფლისწული“.  
2. ტექსტი იგი მოხსენებულია ქინების მეფედ.  
3. მოქმედ ვიზრებში აკლდა მწირო, რომელიც მურმანმა მიუგზავნა ბელმწიფეს და დიაკონი.

### ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

პ რ ო ლ ო ბ ი. (როგორ განჩნდა ეთერი). კალო სოფლად. წინა პლანზე — დატაკი, უშვილო მოხუცი ცოლ-ქმრის კალო. აქა-იქ კიდევ ლეწენ პურს, კალოთა უმრავლესობაზე ხორბალს ანიავენენ. მოხუცი კაცი აშთაერებს განიავენას, მისი ცოლი კი ცოცხით აგროვებს მარცვალს. მათ უახლოვდებიან მღვდელი, დიაკონი და მამასახლისი ბეგარის ასაკრეფად. ბერიკაცი ედავება მოსულეებს ხორბლის გამო, მისი ცოლი კოღს იწუნებს. მღვდელი ბოროტი ღიმილით გამოსცრის:

წ ა რ წ ე რ ა: რაღათ გინდათ ამდენი ხორბალი? შვილები მინც არ მოუცია თქვენთვის ღმერთსა და...

მამასახლისი და დიაკონი ტომარას ავსებენ. დიაკონი ზურგზე მოივლებს ტვირთს და გასწევენ სხვა კალოსკენ.

დედაკაცი მიწაზე დაეშვა და იცრემლება... ქმარი ხელს უთათუნებს მხრებზე, მისკენ ისრება და ამშვიდება. დედაკაცი მწარედ ჩაიღიმებს.

წ ა რ წ ე რ ა: განა ხორბალი მატირებს. მართალი თქვა მამამ: უშვილიძიროდ ვწყდებით და ევ არის...

მისხუტმა თავი მიადო დედაკაცს და ხელისგულით ცრემლები ჩამოიწმინდა...

I პ ლ ა ნ ი. აცრემლებულ მოხუცთა სახეები.

პ ი რ ვ ე ლ ი ს გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა — ქმარი წამოდგა და მუშაობა განაგრძო. იგი ხორბალს ფარავს, ღამით რომ არ დასველდეს. დედაკაცმა ამოიხორხა და სატმლის თადარიგს შეუღება... (ღიარება).

სოფელი. საღამო. წყარო. იქვე, ტალახში, კამეჩები ნებიურებენ. წყაროსთან დოქიანი ქალები მოგროვილან. აქვეა რამდენიმე სახედრიანი მენახიერ. სახედრებს გოგები ჰკიდიათ. ერთი სახედარი მთორეს ეჯახება. გატყეხილი კოკა. მენახირეთა აურხაური, აყალმაყალი. მათ უახლოვდება დოქიანი უშვილო დედაკაცი. იგი ამშვიდება მენახირებს და შეარიგებს. მორბიან სოფელელი გოგო-ბიჭები.

ისინი წყაროსთან ანცობენ, წუწუაობენ და ა. შ. უშვილო დედაკაცმა დოქი შეუღდა წყაროს, იგი თვალს ვერ აშორებს ბავშვებს. დოქი დიდი ხანია აივსო, ის კი კვლავ ბავშვებს მისჩრებია, ეფერება მათ, კიბიდან იღებს ტკიბულეულს და პატარებს უსასაინძღდება.

I პ ლ ა ნ ი. უშვილო დედაკაცის მომღიმარე სახე, რომელსაც უამრავი პირმცინარე ბავშვის თავი ჩახტვებია.

მ ე თ ხ ი ს გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა. საცე დოქიდან წყალი გადმოდის. ქალთა ჯგუფი ეძახის უშვილო დედაკაცს — დოქი გადმოდგო. იგი იღებს დოქს და წასახველად ეშვადება. ქალები უთითებენ უშვილო დედაკაცსა და ბავშვებზე და იციან. ბავშვებით გარშემორტყმული უშვილო დედაკაცი ბუზღუნით მიდის.

სოფლის შარავზა. სამუშაოდან შინ მობრუნებულ გლეხთა ჯგუფები. პატარა მწყემსები ნახირს მოერგებინან. ქალები ეზოში უშვებენ ფურებს.

შარავზაზე მიდის დოქიანი უშვილო დედაკაცი. იგი ჩერდება პაწია მწყემსთან, ეფერება მას, რაღაცას აძლევს... გლეხების ჯგუფთან ერთად შინ ბრუნდება უშვილო ბერიკაცი. შეაშრნია ცოლი ბავშვთან, მივიდა მათთან. ისიც მიეალურსა ბიჭუნას, გაეზუმრა, მაღლა შეაგდო, შემდეგ დოქი გამოართვა მუუღლეს და ერთად გასწიეს შინისკენ.

მისხუტების გზო... დედაკაცი სატმელს ამზადებს... მოხუცი იხდის, იბანს. ქალი ვახშამსა შლის, კაცი თავსა ხდის ქვევრს, ლეინის იღებს ქვევრიდან, ცოლ-ქმარი ვახშამობს... ქალი ამბობს:

წ ა რ წ ე რ ა: „სალოცაკად უნდა წაივდიეთ წმინდა გიორგისთან, იქნებ ისმინოს ჩვენი ვედრება და შვილი მოგეცეს“.

ქმარი ეფერება ცოლს. (ღიარება).

4 ავტორს აქ და უველგან აქვს — „ეთერი გიორგია“.

ვენახი. რთველი. ქალღმერთი ყურძენს კრეფენ მომცრო ჭურჭელში, შემდეგ კი გოდრებში ყრან. უშვილო ბერიკაცს გოდრი გამოჰქვს ვენახიდან და ურეშე ღვამს... მისი ცოლი მსხვილ-მსხვილი მტკვნევის აკიდოსა ჰკრავს.

მ ს ხ ვ ი ლ დ. უშვილო დედაკაცი აკიდოსა ჰკრავს.

წ ა რ წ ე რ ა: „ეს წმინდა გიორგის, იქნებ ისინის ჩევედრება“.

უშვილო დედაკაცი საამო ღიმილით ათვალერიებს აკიდოს. მისი ქმარი უკანასკნელ გოდრის დგამს ურეშე, მტკიან კრავს გოდრებს და სოფლისკენ მიემართება.

მარანი. რამდენიმე გლეხი ემზადება ყურძნის დასაწურად. რეცხენ ნავს (საწახელე).<sup>5</sup> ერთ-ერთი გლეხი ჩადის ქვევრში და ამთვრებს მის რეცხვას.

დიდი ქვევრის ჭრილი. გლეხი ჩადის ქვევრში და რეცხავს.

სოფლის შარავსა. უშვილო ბერიკაცს ურმით მოაქვს ყურძენი. ჩერდება და ურმის თვალს ასუფთავებს.

ისევ მარანი. გლეხები ფეხებს იბანენ. მოხუცს მოაქვს გოდრები და საწახელეში ცლის. გლეხები მიემართებიან საწახელესკენ. მოხუცი მათ ფეხზე გადაავლებს ნაკურობ წყალს. ყურძენს წურავენ... მღერიან... ბერიკაცს გადაბახული ღვინო მოაქვს და ნაღს ასწევს. იგი საწახელეს ღარს უდგამს და ყურძნის ტკბილი ქვევრში ჩაწურსუნებს. დედაკაცი ბადავს ჩაფიქვს ასხამს. ქმარი გეითხება: რად გინდაო? ცოლი ემზადებული ღიმილით პასუხობს:

წ ა რ წ ე რ ა: ჩემი ანცების ჩურჩხლებსითვის.<sup>6</sup>

ქმარს ეღიმიება, უკვება ჩაფს და თვითონვე მოაქვს.

უშვილო მოხუცების ეზო. მოხუცი კაცი ცხვარსა კრეჭს. ცოლი ჩურჩხლებს ავლებს თათარაში. ლატანზე ბლომად აკიდა მზა ჩურჩხლები. დედაკაცი ზის მითუხთუხე ქვაბთან, ძაფზეუ ასხმულ ნივრს რამდენჯერმე უშვებს ქვაბში და ლატანზე აკიდებს, რომელიც ბავშვებს უჭირავთ. რამდენიმე ბავშვი ღობის ქუჭურტანთან უთვალთვალს ჩურჩხლებს დამზადებას. მოხუცი ხშირ-ხშირად გადახედავს მათ. დედაკაცი ბავშვებს აჩვენებს გამზადებულ ჩურჩხლებს და ეუბნება:

წ ა რ წ ე რ ა: „ეს თქვენა, აი, ეს კი — წმინდა გიორგის. იქნებ ერთი თქვენსთანა ჩვენც გვიწყალობოს“.

იგი ბავშვებს ასაჩუქრებს... (დაფარავს).

მოხუცების ეზო სხვა კუთხიდან. გუთანი, ფარცხი, სხვა სამუსო იარაღი და ა. შ. ეზოში დგას ნახევრად დატვირთული ჩარდებიანი ურები. დედაკაცს ბარგი გამოჰქვს სახლიდან. ბერიკაცი ურეში კამეჩებს აბამს. რამდენიმე თა-

<sup>5</sup> კ. მარკანიშვილი არაქართული მითხველ-მაყურებლისთვის ხშირად იძლევა სიტყვების ასხანს ფრჩხილებში: მავალითა, აქ წერილი ნაღი (сапхали).

<sup>6</sup> ატკობი აქ ფრჩხილებში იძლევა ჩურჩხლებს განმარტებას.

ნასოფელი და ბავშვი ცნობისმოყვარეობით შესტყერის მათს საქმიანობას. ბერიკაცი ამბობს:

წ ა რ წ ე რ ა: „ბა, დედაკაცო, მოიყვა შეწურული ცხვარი, დავლათ, ღმერთი მოწყალეა, ყურად იღებს ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

მ ს ხ ვ ი ლ დ. კამეჩის თავები.

მეჩვიდმეტის გაგრძელება. დედაკაცს მოჰყავს ჯაჭვზე გამომხული დიდი ყორი. ქმარი ყორს ურეზე გამობამს. დედაკაცი ურეზე მოიკალათებს. დიდრინე.

მოხუცი მინდორში მხველ გლეხებს ჩაუვიან. გუთანი შეშულია 4 თუ 5 წყვილი ხარი. მოხუცი ვასლმებიან მშრომლებს, განაგრძობენ გზას.

ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა ხ ე დ ი. მოხუციები მიდიან.

შეიძლება შესვენების ჩვენება. მოხუციები მიდიან. შორით მორანს ტაძარი.

საეკლესიო დღესასწაული. ჯგუფ-ჯგუფად თუ ცალცალკე გლეხების გარშემო ერთკვიანი ურები, ცხვორსები, ქვეთი. მრავალი მოლოცველი ტაძართან მოახლოვამდე დიდი ხნით ადრე ქვეითდება და მუხლებზე მოხობას. მოხუცი ეზადებიან ღამის სათვეად. უშვილო მოხუციები მოვიდნენ. ბერიკაცი ურმიდან ჩამოხტა და კამეჩებს წაუძღვა. მისი ცოლი ჩამოვიდა და ანთებული თავისი თოთლით ხელში მუხლებზე მოხობას ტაძრისკენ.

ღამე. ანთია კოცონები. ეკლესიის გარშემო უმარავი ხალხი განლაგდა თავი ბარგი-ბარხანით. ზოგან ღრეობა. ეკლესიაში ბლომად შეკრალა ხალხი; ყველას ანთებული სათვეო უჭირავს. ეკლესიის კარებიდან ჯვარს მოახევენ. თვით მოქეფინიც კი ფეხზე დგებიან.

ტაძრის გარემო. სხვა კუთხით. მოხუციები ერთი ჯგუფიან მეთრეში დაწინალოდნენ.

- ა) იმპროვიზებული ბაზრობა.
- ბ) ასალგაზრდები ცეკვავენ, მოხუციებიც.
- გ) ჭიდაობა. ბერიკაცს საჭიდაოდ მიუწევს გული, ცოლი არ ანებებს და გაჰყავს.
- დ) ნიშანში სროლა.
- ე) კირითი.

ეკლესიის კარები... ქალები კენჭებიან ხელვებს ატარებენ კარებზე, იმ იმდით, რომ კარი კენჭს მიიკრობს. ზოგი კენჭი ცკრობა კიდევ. მისი მფლობელი გახარებულია. ჩამოყრილი კენჭები მატრონებს მანაწყენებულები არიან. კარებს უახლოვდება უშვილო დედაკაცი.

წ ა რ წ ე რ ა: „ცრურწმინდა ამბობს: თუ კენჭი კარებს მიეკრობა, სურვილი აგიცხადდება“.

უშვილო დედაკაცი იღებს კენჭს და აკანკალებული ხელებით ატარებს კარის ზედაპირზე. ქმარი შეტყუნებით ადევნებს თვალს.

მ ს ხ ვ ი ლ დ. დედაკაცის კენჭიანი ხელი. კენჭი რამდენჯერმე ვარდება, ხელი იჭერს ჩამოყარდნილ კენჭს და ისევ კარზე ატარებს.



27-ის გაგრძელება. კენჭი დავარდა, უშვილო დედაკაცი ტირის. ქმარი ამშვიდებს. მათთან მიდის ბებრუცხა.

მსხვილად. უშვილო ცოლ-ქმარი და ბებრუცხა, რომელიც მათ რაღაცას ჩასწორებულებს.

წარწერა: „წადით, წმინდა...“ ივია ცოლქმრობის მფარველი და მოგცემთ ყრმას“.

მოხუცები ხარობენ.

საკელისო დღესასწაულის მონაწილეთა დაშლა.

აქ შეიძლება რამდენიმე წმინდა ადგილის ჩვენება, რომლებიც მოხუცებმა მოიარეს.

ისევ მოხუცების ოჯახი. სოფელი წამთარში. მიწა-ყრილზე სხედან მოხუცები და წუხან...

ჩაივლის მოხუცი მათხოვარი. უშვილო დედაკაცი მას გაიკითხავს. მათხოვარი ჯდება და საჭმელს შეეძევება.

მოხუცები წუხან, რომ შეილები არა ჰყავთ. მათხოვარი მათ ურჩევს.

წარწერა: „აჭარაში ცხოვრობს მკითხავი, მიდი მასთან და ისეთ საშუალებას მოგცემს, შეილები გაგიჩნდებთ“.

მოხუცები მადლობას უხდიან. მათხოვარი მიდის. მოხუცები ხარობენ. უშვილო ბერიკაცი წაუცმკვებებს კიდევ.

მსხვილად. მოხუცების მზიარული სახეები.

უშვილო დედაკაცი პურს აცხობს თონეში. მისი ქმარი ხურჯინში აღაგებს ხორავს, გასაზღვარებლად ემზადება... დედაკაცი აცილებს.

ბერიკაცი მიდის მთის ბილიკზე; ფერდობზე ცხვარი შეფენილა და ბალახს ძოვს.

ცხვრის ფარები... მწყემსები (ფშაველები ან ხევსურები), ნავაზები, ცხვარს კრეჭენ. მოხუცი მათკენ მიიწვება, მაგრამ ნავაზები ყფით მოსწყენენ ადგილს. მწყემსები მოხუცი უყვირან: ჩაჯექი, ჩაჯექი... მოხუცი მიწაზე ეშვება... იგი ნავაზების აღყავია.

მსხვილად. შეშინებული ბერიკაცი, ირგვლივ ნაგაზები.

36-ის გაგრძელება. მოხუცის საშველად მოდის მწყემსი. სტუმარ-მასპინძლობა. ვაზში. ღამის გათევა.

უშვილო მოხუცი მიდის გზის სხვა მონაკვეთზე...

წემსვედრი ტიპები.

ულულებილი. მოხუცი გადასცქერის იმერეთს და ერთ მანეთს ადარებს იმერეთისა და ქართლის სხვადასხვაგვარ სოფლებს.

ხედი. (იმერეთი, გურია, სამეგრელო).

მოხუცი ზღვის ნაპირზე მწვანეს ევაჭრება. მორიგდენს. იგი ჯდება ნავში და მიცურავს.

ზღვის სანაპიროს ხედები. ეპიზოდები შეიქმნას მდგომარეობის მიხედვით.

მკითხავს ქობი აჭარაში. ხალხი ბლომად მოსულა მარჩიელთან (ცრუმორწმუნეთა ტიპები).

უშვილო მოხუცი და მკითხავი ქალი — მარტონი. ბერიკაცი ამბობს:

წარწერა: „მომეცი ისეთი რამ საშუალება, რომ ჩემს ცოლს შეილი ეყოლოს“.

მკითხავი შეულოცავს, შემდეგ აძლევს სამ ვაშლს და ეუბნება:

წარწერა: ერთი ვაშლი მაშინ მიეცი შენს ცოლს, როცა მომივლდეს, მეორე — როცა კიდევ მოუნდეს ჭამა, ხილი მესაქე — როცა მოსწყურდეს“.

მსხვილად: ბერიკაცი, მკითხავი და ვაშლები.

46-ის გაგრძელება. მოხუცი მადლობას სწირავს მკითხავს, მიდის.

ბერიკაცი სისხარულით ბრუნდება შინსკენ, ფუთაში სამი ვაშლი აქვს; იგი ისევ ნავმისადგომთან დგას. ჯდება ნავში. მიდიან.

ნავი ზღვაშია. იგი ირწყება. მოხუცს ეშინია.

ქარიშხალი. ნავი ძალუმად ირყება; შეშინებული მოხუცი ხან აქეთ ეცემა, ხან — იქით. მზნავე უწყობს. ნავი გადაბრუნდება და ორივენი წყალში ჩააცივია.

მოხუცი ფართხალებს წყლის ჩქერში, ვაშლებიანი ფუთა ჩაუბლუჯავს. მზნავე მიცურავს.

მსხვილად. წყლიდან მოჩანს მოხუცის თავი; იგი ყვირის. ტალღები მიათრევენ მოხუცს...

ტალღამ კლდოვან ნაპირზე გარია მოხუცი. იგი სველია. ფურწურით ჩამოსდის წყალი; მოხუცი ნაპირს დაუყვავა, ფუთა კვლავ ხელში უჭირავს.

სანაპიროს სხვა მხარე. მოხუცს შიმშილი ტანავს. გ-სხნა ფუთა... ყოყმანობს. ბოლოს შეჭამა ერთი ვაშლი და გზა განაგრძობს. ბერიკაცს სინდისი ქეზნის.

ბერიკაცი ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

წარწერა: „ეს რა კვინი! მკითხავმა მიბრძანა, რომ სამივე ვაშლი ცოლისთვის მიმეცა“.

7 დედანია: поешайте к се, ალბათ, იგულისხმება რომელიმე წმინდა ადგილის (ადგილების) მოსალოცად წასვლა. ამაში გვარწმუნებს ტექსტი რამდენიმე სტრიქონის შემდეგ.

8 აქ და ქვემოთ ავტორი მკითხავს ექიმბაშად იხსენიებს.



თავი გაიქნა და გზას გაუდგა.

მოსუცი მიდის. კვლავ ტანჯავს შიმშილი. შეჩერდა, სე-  
ლი ჩაიქნა და მეორე ვაზლიც შეჭამა. კვლავ განაგრძო  
გზა.

ზღვის სანაპირო... მოსუსს მოსწყურდა...

მოსვა ერთი ყლოუბი წყალი. არ მოეწონა. მლაშეა...  
იფიჭრა, იფიჭრა და მესამე ვაზლიც შეჭამა.

მოსუცი მთებზე მიბობდავს, კანჭი უსივდება, ხელით  
მოსინჯა სიმსივნე და გზა განაგრძო.

გზის სხვა მონაკვეთი. მოსუცი მიდის, ფეხი სულ უფ-  
რო უსივდება. ქვაზე ჩამოვდა, ფეხსაცმელი გამოიცივლა,  
სიმსივნე გაისინჯა.

გზის ახალი მონაკვეთი. მოსუცი კვლავ მიდის, კანჭი  
უფრო და უფრო უსივდება. დროდადრო საკუთარ ფეხს  
ათვალიერებს და შინისკენ მიიჩქარის.

მ ს ხ ე ლ ა დ. ფეხი სივდება და სივდება.

ბერიკაცს ძალა გამოვლია, უკვე აღარ შეუძლია სიარუ-  
ლი. იგი ჯდება გზის პირას, პატარა ხანჯლით ჭრის სიმ-  
სივნეს. ჭრილობიდან ბავშვი გადმოვარდება. შეძრწუნებუ-  
ლი მოსუცი წამოვარდა და ვარბის.

ჰაერში არწივი დანავარდობს.

იგივე ადგილი, რაც 65-ში. გზაზე ბავშვი გდია.  
არწივმა რაღაც შენიშნა მიწაზე და დაეშვა.

ისევე გზა და ბავშვი, არწივი დასწვდა ჩვილს, აიტაცა  
და თან წარიტანა.

არწივი ეშვება მაღალ კლდეზე და სასაუნჯოდ იშვებ-  
და. უცებ ბავშვმა ხელები შეტაცა, არწივი შეწყვიტა, შეშ-  
დევ კვლავ აიტაცა ჩვილი და გაფრინდა.

შემინებული მოსუცი ტყეში ვარბის.

უსამართლო ხის კენწფორი არწივის ბუდით... არწივი  
ეშვება ბუდემი და შიგ აწვენს ბავშვს. იგი უღლის პატარ-  
ას. ბავშვისთვის საკვებად მოაქვს ხორცი, ხილი, მავრან-  
ჩვილი ყველ-ფურს ყრის ბუდიდან. არწივი მიფრინავს შეი-  
ღობილობისთვის საკვების საძებნელად.

უშვილო მოსუცი სირბილით შეიჭრა შინ. იქ ცოლი  
დახვდა. მოსუცი ისეა შეზინებული, რომ დედაცაიცი ვერა-  
ფერს მიუხვდა, დააწვინა და უელის...

ვარსკვლავდაყრილი მუქი ცა... არწივი მიფრინავს. იგი  
ნესკარტით კორტისს ერთ-ერთ ვარსკვლავს და მიჰქა-  
ვარსკვლავის სხივთაგან ერთ-ერთ ნატივს. ბუდე, ბავშვი ტი-  
რის... არწივი მოფრინდა და ვარსკვლავის ნატივს ბავშვს  
ბარტყივით ჩაუღო პირში. ჩვილი წიფს ვარსკვლავს... არ-  
წივი ხმაურით თავს დასატრიალებს...

წ ა რ წ ე რ ა : „ასე გამოვარდა არწივმა გოგონა, რო-  
მელსაც ვარსკვლავით კვებავდა და სახელიც იმ ვარსკვ-  
ლავისაა დაარქვა — ეთერი“.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი ს დ ა ს რ უ ლ ი

წ ა რ წ ე რ ა : „უფლისწული აბესალომი თავის მეგო-  
ბარ მურმანთან ერთად სანადიროდ ემზადებოდა“.

სამეფო სასახლის ეზო. საკინობოში ცხენებს კაზმავენ.  
მეძაღვლებს ძაღვლები გამოჰყავთ, ბაზირებებს — ტერლ-  
ჩაჩაინი შევარდნები...

აივანზე გამოდის აბესალომი, მას მოჰყვა ახალგაზრ-  
დობა. ყველანი ესალმებიან უფლისწულს. აქვე გამოდის  
აბესალომის და დობილების თანხლებით. ძმა და და თავს  
იწონებენ თავთავიანთი ფრინველების სიკაცულებით... მო-  
ნადირებს მთარავეს ცხენები. დგება ორი კავალკადა —  
მამაკაცთა და ქაღალა; ყველანი ერთად გამოდიან ჭიშკრი-  
დან აშალის, მეძაღვლებისა და ბაზირების თანხლებით.

კავალკადების გამოსვლა ჭიშკრიდან. ძველი, გამაგრე-  
ბული სასახლის გარე ხედი.

სხვადასხვა ადგილი, რომელიც ახალგაზრდობამ გი-  
არა.

ბუდე. არწივი კვებავს უკვე ზრდადასრულებულ ეთერს.

წ ა რ წ ე რ ა : „დღეობით კი არა, საათობით იზრდებო-  
და ეთერი. არწივმა მას პატარა ვარსკვლავი გადააყლაპა  
და გოგონა ქალიშვილად იქცა“.

მონადირენი შევარდნებით უტყვენ გარეულ ფრინვე-  
ლებს.

არწივი ირას კრავს ჰაერში, მას შევარდნი დაემე-  
რება. მათი ბრძოლა.

ნადირობის გაგრძელება... მკვდარი შევარდნი მიწაზე  
ვარდნა... მონადირენი შენიშნავენ გამაგრებულ არწივს...  
ინინი ცხენდაცხენ მიდევნებენ ფრინველთა მეფეს და ისარს  
სტყორცნიან.

მ ს ხ ე ლ ა დ. ბუდე. მასში — მზეთუნახავი ეთერი,  
რომელიც მოუთმინლად ეღის თავის აღმზრდელ არწივს.

ხე. ეთერთან მიფრინდა არწივი და პატარა ვარსკვლავ-  
ი მისცა. უმაღლეს იმავე ხეთან მიიტყნენ აბესალომი და  
მურმანი. მურმანი უშიზნებს არწივს, მადრამ ეთერმა შე-  
ნიშნა და გამზრდელს აფურავ; შინაშემი ეთერს ხელიდან  
გაუვარდა ვარსკვლავი, რომელიც ეცემა საოცარი სანახაო-  
ბით მოზიბული აბესალომის მკერდზე და მის გულამდე  
აღწევს. მზეთუნახავი ეთერის დამნაშველი მურმანი ად-  
გილზნევს ვახუდელ, იმე რომ ჩსარი არც გაუტყორცნია. აბე-  
სალომი ეცემა...

აბესალომი ხის ქვეშ. იგი თვალს არ ამორებს ეთერს.  
აბესალომს შემოეზვივნენ მურმანი და მონადირეებთან ერ-  
თად მოსული მისი და. ყველანი გაკვირვებით შესცქერიან  
საოცარ სანახაობას — არწივის ბუდემი მყოფ ქალიშვილს.

9 ავტორი ფრჩხილებში იძლევა ეთერის სახელის წარმომავ-  
ლობას, რომელიც, მისი განმარტებით, იმ ვარსკვლავის სა-  
ხელწოდებასაგან მომდინარეობს, რომლითაც იგი არწივმა  
გამოეცემა.



ეთერი გადაფარა არწივს და თავდასხმისადაც იცავს მას. აბესალომს გული მისდის. მისი და ჭრის მისი მკერდზე შტერუსულ ტანსაცმელს და შენიშნავს ვარსკვლავის მიერ დაჭრილ გულს... აბესალომმა თვალები გაახილა და ხის კენჭურის მიაშტერდა.

ეთერი ჭუჭურუტანას აკეთებს ბუდეში და დაბლა იცქირება.

აბესალომის თვალები.  
ეთერის თვალები.

დაჭრილ აბესალომს ნაბადში ახვევენ და შინ მიჰყავთ. მურმანი იქვე რჩება და ზემოთ იყურება — უნდა, თვალი შეავლოს ეთერს... ბოლოს, ხეზე ასვლას გადასწყვეტს. არწივი ბუდედან გადმოეშვება და მურმანს ეკვივება... იძულებული მურმანი ხიდან ჩამობტა... იგი ისარს სტყორცნის არწივს და დაჭრის...

ბუდე... დაჭრილი არწივი. ეთერი თავს დაჰფოფინებს აღმზრდელს, აძრობს ისარს და ფოთლებს ადებს ჭრილობაზე.

მონადირეები შედიან მეფის სასახლის ეზოში. აბესალომი წევს ორ ცხენზე ნაბადზე. დიდოფალი და ხელმწიფე შეაერთო შეილის ხვედრმა... ფაციფუცი. აბესალომი სასახლეში შეიყვანეს.

სასახლის აივანი, რომელზედაც აბესალომი გაატარეს.

ბუდე... ეთერი არწივს უკლის. მურმანი ისევ ხის ძირასა და ეთერის ჩამოტყუება სურს. იგი ეთერის ცდუნებას ცდილობს სხვადასხვა სამკაულით: ყელსაბამით, სამაჯურით, ბეჭდებით, საყურეებით, მაგრამ განაწყენებული ქალიშვილი გაკლებს ესარის. მურმანი მაინც ადის ხეზე. ეთერი ტოტს მოატყებს ხეს და მურმანს იგერიებს.

ავადმყოფი აბესალომი, რომელსაც უკლიან დედა, და და სუფუქალები. აბესალომი ბოდავს. მოჩვენებასავე წაართულებდა ეთერი.

შეყვარებული მურმანი ტყე-ტყე დახეტიალობს. იგი ქვაზე ჩამოვდა და მყისვე მხრებზე შეახტა ჭინკა.<sup>10</sup> ჭინკა ეურჩრულება მურმანს:

წარწერა: „შენ ეთერი შევიყვარდა, მაგრამ იგი აბესალომის ხვედრია“.

შეშინებული მურმანი წამობტა, მხრიდან მოივლიჯა ჭინკა და შლეგივით გავარდა... ჭინკა მისდევს...

სასახლის საბიბლიოთეკო დარბაზი. დას შემოყავს მომჯობინებელი აბესალომი. დამ დასვა აბესალომი და ზედიზედ აწოდებს სხვადასხვა პერგამენტს, მაგრამ აბესალომი გვერდზე სდებს მათ. იგი უყვება დას თუ როგორ შეუყვარდა ხეზე მჯდომი ქალი. შემოდის ხელმწიფე, კოცნის აბესალომს და ქალიშვილს დაითხოვს... ხელმწიფე ეუბნება უფლისწულს:

წარწერა: „მოხვდები, აბესალომ. დროა, გადმოგცე სამეფოს მმართველობა; ოღონდ ჯერ ცოლი უნდა შეირთო. სპარსეთის შაჰი გთავაზობს თავის ქალიშვილს“.

აბესალომი უარზეა. იგი ღელავს. მამა აწვივდება და გადის. აბესალომი ჩაფიქრდა და ეთერი წამოუდგა. (მოჩვენება).

სატახტო დარბაზი. ტახტზე — ხელმწიფე და დედოფალი. არგვლეი ამაღა და მცველები... მურმანს შემოჰყავს სპარსეთის ელჩები. ერთი ელჩი ამბობს:

წარწერა: „შაჰინშაჰი გთავაზობს თავის ქალიშვილს... წაიყვანე რძალად და შერთე შენს აბესალომს“.

ხელმწიფე მადლობას უხდის ელჩებს.

ხელმწიფე ელჩებს უცხადებს აბესალომის უარს. შეურაცხყოფილი სპარსელები მუკვართ ტოვებენ დარბაზს. ხელმწიფე მიმართავს თავის ქვეშევრდომებს:

წარწერა: „აბესალომს არ უნდა სპარსელის! შერთვა, მაგრამ მაინც უნდა მოვიძიოთ მისი სულის მეგობარი, რადგან მე მოხვდები და მინდა, სახელმწიფო შეიღოს გადავცე... დაგვანეთ შიკრიკები ქვეყნის ყველა კუთხეში; დაე, აქ მოგვეგვარონ უულამაზუნისი. იქნებ მათგან ამოირჩიოს აბესალომმა გულის სწორი“.

ხელმწიფე დავალებას აძლევს შიკრიკებს. ისინი თავიანთ სცემენ მეფეს და ბრძანების შესასრულებლად მიდიან.

მოდის ცხენზე ამხედრებული, ჩაფიქრებული აბესალომი.

აბესალომი დგას ხის ქვეშ და არწივის ბუდეს უთვალთვალავს.

ბუდე შიგნიდან... იდი არწივი ბუდეში წევს. ეთერს უნდა გარეთ გაჭერტა. არწივი უშლის.

წარწერა: „ჩემო გოგონა, ნუ უჭერტე ჭაბუკს. ადამიანთა მოდგმა ვერაგია — იგი მოგატყუებს და მიგატოვებს... დაგიწყვიტის“.

ეთერი ჩუმად აკეთებს ჭუჭურუტანას და აბესალომს უმხერს.

აბესალომი ცხენით დადის ხის გარშემო. ბუჩქებში შემალული მურმანი აბესალომს უთვალთვალავს.

ხელმწიფის შიკრიკები გამოიდან ჭიშკრიდან და სხვადასხვა მხარეს მიავლევენ ცხენებს.

ბუდის კიდიდან მაცქერალი ეთერის სახე.

აბესალომის სახე. შეყვარებული თვალები მაღლა აღუყურია.

ბუჩქებში მიზალული მურმანის ეჭვიანი თვალები.

<sup>10</sup> ავტორი ასე განმარტავს ჭინკას — полуобезьяна-полуптица — чертня.

<sup>11</sup> ღელანში აქ მოხლოდ ფრჩხილებია, საქპრო სიტყვა კი (ილბათ „სპარსელის“) გამოტყუებულია.

ერთ-ერთი შიკრიკი შედის კახელი თავადის ეზოში. (მავლი, ეზო, ტიპები).

დაღონებული აბესალომი ხეს მოშორდა. ეთერი თავს გამოყოფს ბუდიდან და მზერით აცილებს. ბურქებში გამოჩნდება მურმანი. ეთერი წასვევ იმალება ბუდეში.

მეორე შიკრიკი სვანეთშია.

მურმანი ხის ქვეშ დგას. გამოჩნდა ჭინკა. იგი მურმანს უგრძობებს:

წ ა რ წ ე რ ა : „მომეცი სული<sup>12</sup> და ეთერი შენი იქნება“.

მურმანი თავვეღმოვლევითი ვარბის.

მესამე შიკრიკი გურიიაშია.

მურმანი მიიზის, ჭინკა მისდევს.

მეოთხე შიკრიკი სამეგრელოშია.

სევედმორეული აბესალომი ცხენით მივახლა სასახლის ციხისმიჯობის ჭიშკარს. იგი ზედავს სასახლისკენ მიმავალ ურიცხვ გვიანებას და კავალკადს — ხელმწიფის ბრძანების მიხედვით, საქართველოს ყველა კუთხიდან მოპყავთ საპატარძლოები.

მეფის სასახლის კარი. დედოფალი და ხელმწიფე ხედიდან საპატარძლოებს. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებელს ტიპები, ეროვნული ტანსაცმელი და ა. შ. ხელმწიფე ყველას იწვევს მოსაყვენებად.

საპატარძლოების დათვალვებზე. ხელმწიფე და დედოფალი ტახტზე სხედან. მათ სიხატოვნე — აბესალომი დასთან ერთად. სახლთუხუცესი ხელმწიფეს თანმიმდევრითი წარუდგენს ქალიშვილებს. (ქართული ტურფა ქალთა ტიპები). აბესალომი უმოქმედოდ დგას. მამა რადაცას ეციუთება, მაგრამ აბესალომს გული მისდის. გულწასულს და შევიჯრებს. ალიაქოთი, აურსაური. ყმაწვილებს აბესალომი გააყავთ.

აბესალომის ოთახი. მშობლებსა და დას აბესალომი გრძნობაზე მოპყავთ. დედოფალი უხსნიან. აბესალომის მკერდეზე სისხლის წვეთებია. მშობლები დედავენ. აბესალომის და მათ მოუთხრობს თუ როგორ შეხვდა უფლისწული არწივის ბუდეში მჯდომ უნჯარ ქალიშვილს (ბუნდოვანდ გამოჩნდება აბესალომისა და ეთერის პირველი შეხვედრა). დღეს პირვარს სახაის შვილს. მამა ჩაიქირდა... აბესალომმა თავლები გაახილა.

მურმანის ოთახი. ეთერის დასავიწყებლად მურმანი დღისი ეტალება. სვამს დიდი ყანწებით (...<sup>13</sup>). ბუზიდან ჭინკა გამოძვრება. იგი მურმანის წინ მაგიდაზე ჯდება და ამბობს:

წ ა რ წ ე რ ა : „ხელმწიფე და დედოფალი დათანხმდნენ აბესალომისა და ეთერის ქორწინებაზე. თუ სულს მომცემ, ეთერს შენ ჩაგიტებ ხელში“.

<sup>12</sup> ტექსტშია — „სული მოპყიდე“.

<sup>13</sup> აქ გამოტოვებულია ფრაზილებში ჩასასმელი სიტყვა, ალბათ ყანწის ახსნა.

გაბრუნებული მურმანი ყანწს ეგვრის ჭინკას... ტიპები  
ჭერში შეტემა და იქიდან ჭყინანებს:

წ ა რ წ ე რ ა : „როცა დაგვიბრუნე, შეისვენ ავედროში და დავი — წამსვე შენთან გავერდები“.

ჭინკა გაქრა... მურმანი ჩაიქირდა...

აბესალომი ხის ქვეშ. ბურქებში მურმანი. ბუდიდან ფრთხილად იმხირება ეთერი. აბესალომი ამბობს:

წ ა რ წ ე რ ა : „შემიწყალე, ქალწულო. ხომ ხედავ, შენი სურვილი მგლავს, ჩანობი ჩემთან, ცოლად წამომიყვებ“.

უარის ნიშნად ეთერი თავს იქნებს.

წ ა რ წ ე რ ა : „არა, ყმაწვილო, ადამიანები ვერაგები ხართ, მომატყუებთ და მომატყუებ“.

აბესალომი შეუქნდა. იგი იძრობს ოქროს ხანჯლის შვილს, ეთერს გაუწოდებს და ამბობს:

წ ა რ წ ე რ ა : „არა, ამ ხანჯლის შვილმა გააპოს იმის გული, ვინც ჩვენს საყვარულს უღალატოს“.

ეთერი ჩაიქირდა... არწივი უფლისწულთან ჩამოფრინდა, გამოართვა დანა და ეთერს გადასცა. ეთერი ეშვიდობება არწივს და აბესალომთან გადობხტება.

აბესალომი ჰაერშივე იჭერს ეთერს, გულში იხუტებს, ცხენზე შემოსივს და შინისკენ გააქროლებს. მათ აცილებს ჰაერში შქროლავი არწივი.

ბურქებიდან გამოდის მურმანი. ბრავი ახრჩობს. იგი კაპარტოდან იღებს ისარს, დებს მშვილდში და მათ მისდევს. აბესალომი და ეთერი მიდან ყვევილებით მოფენილ მინდორზე. ბურქებს მოფარებული მურმანი მათ ისარს სტყორნებს, მაგრამ არწივი შენიშნავს და ჰაერშივე დიჭერს ისარს. მურმანი გაეცხლა... კვლავ ეპარება აბესალომსა და ეთერს.

აბესალომი და ეთერი ტყით მიდინ. ახლა მათ ხიდან სტყორცის მურმანი. არწივი კვლავ იჭერს ისარს.

აბესალომი და ეთერი მიდან მთის ვიწრო ბილიკით. მურმანი მოსახვედით შეყუქულა. მას შეყვარებულია ხრამში გადავლით განუხრახავს. ცხენი ფრთხილად მიდის ციკადი ბილიკზე. უახლოვდება მოსახვევს. მურმანმა უკვე გამართა ხელები, რათა შეეყვარებულნი ხრამში გადაჩხის ძლიერი ბიგით, მაგრამ კვლავ მოსაწრო არწივმა: მურმანს თემბნში წაავლო ბრჭყალევი და ჰაერში აიტაცა.

არწივი მურმანს მიაჭანებს უდაბური ხეობის თავზე. დიდი წვალბის შემდეგ მურმანმა იძრო ხანჯალი და გულში აძგერა არწივს. არწივმა ვახსნა ჭანგები და მურმანი თავბრუდამხვევით სისწრაფით მიიჭანება უფსკურულში.

აბესალომი უახლოვდება ციხისმიჯობის კედლებს, ჩაპბერა საყვირში და შინაყმა ყველა მხრიდან მოაწყდა საყვარელ უფლისწულს.

ტანსაცმელმეფოვლილი მურმანი წვეს ჩანჩქრის პირას. ქვემიდან, კლდეოა ბზარებიდან და ბურქებიდან გა-





მოძებრიან ჭინკები. ისინი გარს ერტყმიან მურმანს, ათვალვირებენ, წამლობენ, ბუმბულისა და ფოთლების სახეგვებს ადებენ.

სპარსეთის შაჰის სასახლე. საქართველოდან მიბრუნებული ეგრები შაჰს მოახსენებენ აბესალომის უარს. შაჰი განრისხდა. იგი უხმობს მხედართმთავარს.

წარწერა: „გათავსებდა ეს პატარა საქართველო! დიდი ხანია ჩვენი ძლიერება არ უგრძობინია... წარძღვები უღვევლ ჯარს და ჭკუას ასწავლი ქართველებს“.

მხედართმთავარი მდაბლად ხრის თავს. შაჰი აჩქარებს მას.

სამეფო კარი. ნეფე-პატარძლის შესახებდრად აივანზე გამოსულან ხელმწიფე, დედოფალი, აბესალომის და და მხლებლები. აბესალომი და ეთერი ცხენით მიიხსლნენ სასახლეს. აბესალომმა ეთერი ჩამოსვა დედ-მამის წინ. ეთერი მუხლებზე დაეშვა. აბესალომის დედამ იგი წამოაყვია და აკოცა. მამა სასახლეში იპატავებს ეთერს. აბესალომის და და ეთერი მიყვინენ ხელმწიფესა და დედოფალს. სხეე-მიც მათ გააკყენენ. აბესალომი ცხენიდან ჩამოხტა; ამ დროს მის ფერხითი ვარდება გულში ხანჯალგარჭობილი მომაკვდავი არწივი; აბესალომი იხრება არწივისკენ, ხანჯალს აძრობს, მაგრამ არწივმა რამდენჯერმე გაიფრთხალა და სული გახუტკვია.

აბესალომი ცრემლებს იწმენდა.

### მეორე ნაწილის დასასრული

#### ნაწილი მესამე

ხელმწიფის სასახლე. ხელმწიფე აცხადებს აბესალომის ქორწინებას ეთერზე და საფუფი კარს წარუდგის პატარძალს. ხელმწიფე ბრძანებს, რომ სამეფოს ყველა კუთხეში გაავრცინოს შიკრიკები და ხალხს აუწყოს სასიხარულო ამბავი.

წარწერა: „აბესალომმა ისეთი მშვენიერი<sup>14</sup> საპატარძლო პიოვა, რომ, მისი წარმოშობის მიუხედავად, ხელმწიფე ჯვარს დასწერს მათ და ყველას იწვევს საქორწილო ნაღიმზე“.

ნეფე-დედოფალი სეირნობს ჯაზის ხეივანში. აბესალომი წყვეტს მტკვანს და კუპალს ბავშვივით უღებს პირში სატრფოს. ისინი მხიარულად იციინან, ბალღებივით დარბიან ხელიხელგაკიდებულები. შებდვებ აბესალომი ხის ქვეშ დასვათ ეთერს, თვითონ ფერხითი მიუწევდა და ისიცყვარულბდა. ეთერი ბედნიერია; აბესალომი საცოლეს აჩუქებს ისეთ ბეჭებს, რომელსაც პაწაწკინტელა თავსახედლი ჭურჭელი აქვს.

წარწერა: „ამ ბეჭედში ჩავამწყვდიე შენდამი მიძღვნილი ჩემი ცხრა სუნთქვა. შეინახე. როცა ჩემი სულის ხმობა გინდოდეს, ახსენ სახურავი და წამსვე შენთან გავრჩნდები“.

მურმანი ჭინკებს შორის. ჭინკები დაერევიან და იხიბენ თხებს იჭერენ, წველავენ და რძეს ასმევენ მურმანს.

მურმანი უკვე თითქმის გამოჯანმრთელდა და ჭინკებიც უმაღ გაივალენ.

გამორჩა ჭინკების მეფე. იგი მურმანს ესაუბრება...

წარწერა: „მოგვეცი სული და ეთერი შენი იქნება“.

მურმანი ყოყმანობს. ბოლოს გადაწყვეტით უარყოფს ასეთ გარიგებას და ჭინკებს განშორდება. ჭინკების მეფე განრისხდა. იგი უხმობს თავის ქვეშევრდომებს და უბრძანებს გაართონ. ჭინკები ცეცვავენ, ცელქობენ, ყირაზე გადადიან. კულთი გვიღვებიან ხუზე და სხვა.

სასოფლო ბაჰრის მოედანი (ყოფილი მხარეები). გაჩაღებული ვაჭრობა — ყიდულობენ, ცვლიან... მოედანზე შემოდის ცხენზე ამხედრებული მიკრიკი ხელმწიფისა. ხალხი ჯგროდ მოგროვდა. აქვეა მურმანიც. იგი შიკრიკისგან გებულობს ხელმწიფის მიწვევას ნადიმზე.

წარწერა: „ხალხი იკრიბება აბესალომისა და ეთერის ქორწილზე. საყოველთაო ლხენა... იმედადაწურული მურმანი თავკულმოგლეჯილი გარბის.“

ღამე უღაბურ ხეობაში. მურმანი ეძებს ჭინკების სამყოფელს, სასოწარკვეთით უხმობს მათ, მაგრამ განზრახ გატრუნული ჭინკები ხმას არ იღებენ.

მსხვილად: სასოწარკვეთით მყვირალი მურმანის სახე.

მსხვილად: განაბული, მოხობითიე ჭინკების ხროვა.

მეხუთის გაგრძელება. მურმანი ყვირის, ჭინკებს უხმობს, მაგრამ ხედავს, რომ ამაღ ირჯება; მასინ გამშავებით იგლეჯს აფგაროზს (.....)<sup>15</sup> აჩაღებს კოცინს და ცეცხლში ადგებს ამ წმინდათაწმიდა ყელსაბამს. წამსვე მის წინაშე წარდგება ჭინკების მეფე. მურმანი მას ეუბნება: მზად არის სული დაუთმის მათ, ოღონდ ეთერს დაეუფლოს.

წარწერა: „ჰა, წაიღე სული, ოღონდ ეთერი მომეცი“.

ჭინკების მეფე დასტურად მოითხოვს მურმანის უღვაშის ღერს. იგი ამბობს:

წარწერა: „მოიგლიჯე ერთი ღერი უღვაში და დამიტოვე ნიშნად იმისა, რომ არ უღალატებ მოცემულ პირობას“.

მურმანი უღვაშიდან იწიწიას ერთ ღერს და ჭინკას გადასცემს. მეფემ იგი მაშინვე აჩვენა ჭინკებს და შენახვა უბრძანა... ჭინკების პროცესიას მოაკვს ციქნა კუბო, მასში ადღებენ ნადავლს — მურმანის უღვაშის ღერს და შეიძით ასაფლავენ. ჭინკების მეფე მიმართავს მურმანს:

<sup>14</sup> აქ ავტორი იყენებს სიტყვას красавица, რომელიც ფრჩხილებში ასხნილია როგორც მზეთუნახავი.

<sup>15</sup> აქ გამოტოვებულია ფრჩხილებში ჩასამელი სიტყვა, ალბათ ладану-ს ამხნელი, ე. ი. აფგაროზი.

წარწერა: „გახსოვდეს: ქორწილის შემდეგ ხალხი ფეტქს<sup>16</sup> რმო შეაყროს ჯვარდაწერილებს, მენც შეაყრე, ოღონდ ხელუკუღმა. სადაც კი მენი მარცვალი მოხვდება, ყველგან წყალუთ გაუჩნდება ეთერს და სანამ მენ არ შეეხები, ვერაფერ განკურნავს“.

სურათის გაგრძელება. ტინკების მეფე აინენებს, როგორ უნდა შეაყროს ფეტვი. მურმანი მადლობას უძღენის“.

წარწერა: „თუ კიდევ დატვირდე, ტყეში პატარა ჯვარი შეკარი და დაწვი. მაშინვე გამოეცხადები“.

მურმანი გარბის. ხეობასა და მთიანეთის გზებზე მოიწევს სპარსთა ლაშქარი.

სპარსელთა თავდასხმა საქართველოს სოფელზე. ადგილობრივი მკვიდრნი გაქცევით შევილიან თავს.

აბესალომ და ეთერი ხელმწიფის წყაროსთან — ბაღში. ეთერი იხდის ფაქიზად ნაკვე ქომებს და წყალში მუდის. სიყვარულით აღვსილი აბესალომი ეთერს ეალერსება. მათ მივბარება მურმანი. შემცბარი ქალიშვილი სწრაფად ამოდის წყლიდან და დარცხვნით იფარავს სხეულს. ბედნიერი აბესალომი ეახარებულა დიდი ხნის უნახავ მურმანთან შეხედრით. აბესალომი კოცნის მურმანს. ეთერს ეს არ მოსწონს... შემოდის მსახური და აბესალომს აცნობებს — მეფე გინმობსო. აბესალომი სწრაფად მიდის... მურმანი და ეთერი მარტონი დარჩნენ. მურმანი ჯერ რიდი, შემდეგ კი თამამად ესაუბრება ეთერს მისდამი სიყვარულზე. მურმანი მიწაზე ემსობა და ცდილობს, შინველი ფეხები დაუკონოს ქალიშვილს. ეთერი უმაღლე წამოხტება, ხელს ჰკრავს მურმანს და ფეხშიშველა გაედევნება საქმროს. მურმანი მარტო რჩება. მან შენიშნა ეთერის ქოშები, ხელი დააღო და მსურვალედ დაუწყო კოცნა.

სამეფო კარი. ხალხი ყოველი მხრივ მოედინება სა-ქორწილო წვეულებაზე.

სამეფო დარბაზი. ხელმწიფე და დედოფალი ლოცავენ აბესალომსა და ეთერს.

სამეფო კარის ეზო. მყარების ერთ ჯგუფს იკლესიაში მოჰყავს ხეფე, მეორეს — პატარძალი.

ეკლესიის ეზო... სამღვდლოება ნეფეს ელოდება.

ტაძრის შიდა ხედი... ნეფე, მყარები, სასულიერო ბირები პატარძალს ელოდებიან. გამოჩნდა პროცესია ეთერის წინამძღოლობით.

ეკლესიის ეზო... მყარები გარშემო უვლიან ტაძარს, რათა ავმა სულემა ხელი არ შეუშალონ ჯვარისწერას. ირგვლივ მოხლავებულან ცნობისმოყვარეთა ჭრელ-ჭრელი ჯოფები.

ტაძრის შიდა ხედი. საქორწილო წესრეულებანი.

სპარსელი ჯარისკაცები ფეხდაფეხ მისდევენ გაქმულ მოსახლეობას და სიცოცხლეს უსწრაფებენ.

ტაძრის ეზო. ასალჯვარდაწერილთა გამოსვლა. მექორწილეთა ეკლესიის მწკრივი, მყარების შეერთება და ა. შ. წესრეულებანი.

მახარობელთა შეჯიბრი.

მახარობელი ხელმწიფისთან და დედოფალთან.

ასალდაქორწინებულთა შეხვედრა დედ-მამასთან. წესრეულებანი... ნადიმი... ცეცხები...

სპარსელები ტყვე ქართველებს აძალებენ ნახევარმოვარისადმი თაყვანისცემას. ურჩებს აწამებენ... ასახიზრებენ.

ასალდაქორწინებულები მიჰყავთ თავიანთ კომეში. კარის ზღურბლზე მათ ოქოთიან აესებს მამა. ყველა დამსწრე აბესალომსა და ეთერს ფეტვს აყროს... მურმანი შეუმჩნევლად ხელუკუღმა შეაყროს. ეთერს გული წაუვა... მთელი სახე სანიშნელი წყალუთ ეფარება... სარითო არეულთა. ამ დროს სასახლეში შემოვარდება სპარსელებს გადარჩენილი გლეხი. იგი ყვირის:

წარწერა: „სპარსელები! სპარსელები!“

მსხვილად. მოყვარული კაცის სახე.

სურათის გაგრძელება. ქალებს გაჰყავთ ეთერი. აბესალომს სურს მას მიჰყავს, მაგრამ მამა აკავებს და მიუთითებს სპარსელთა თავდასხმის მაცნე გულზე, შემდეგ კი შეილს გადასცემს თავის გვირგვინს...

აბესალომი შეკრთა, მაგრამ მიხვდა, რა მოვალეობაც კისრებოდა, პირჯვარი გადაიწერა და გვირგვინი მიიღო...

ასალდაქორწინებულთა ოთახი. ეთერი გულწასულია. აბესალომის და და სხვა ქალები ცდილობენ გრძობაზე მოიყვანონ იგი. შემოდის საომრად აღჭურვილი აბესალომი... იგი ემშვიდობება ეთერს (ფერი არ ადებს), უნდა, რომ ეამბოროს, მაგრამ ეთერი გაუსლტება და უჩვენებს დაწყულეულ სხეულს აბესალომი სარეცელზე ეშვება და მწარედ ტირის...

ქართველთა ბანაკის საეუმავო. ჯარისკაცს შორეთისთვის მიუყარია მზერა და რაღაცას აკვირდება; შემდეგ სასწრაფოდ ანთებს ჭოჭზე წამოცმულ ჩირაღდანს... წუთის შემდეგ სხვა ბეჭობზე ინთება ასეთივე ჩირაღდანი და ა. შ.

72-ე სურათის გაგრძელება. შემოდის ერთერთი სპასალარი<sup>17</sup> და აბესალომს ხმალს გადასცემს. აბესალომი დგება, იღებს ხმალს, კოცნის და სწრაფად გადის... სასოწარკვეთილი ეთერი რამდენიმე ნახიჯს გადღამს მისვენ და გონწართმეული დაეცემა.

აბესალომის წინამძღოლობით ციხესიმაგრის ტიშკრიდან გამოდის ჯარი.

<sup>16</sup> ავტორს უწერია *оспнать их знаками. знак* მარცვლოვანი ნიშნავს: თარგმნისას, ხალხურზე დაყრდნობით, ვიხმარე „ფეტვი“.

<sup>17</sup> ეს სიტყვაც ახსნილია ფრჩხილებში.

სპარსელები ძარცვავენ და ცეცხლს უკიდებენ ტაძრებს.

ქართველთა ლაშქარი აბესალომთან ერთად გაუგავლ ადგილებში მიდის (ორ ქარაფს შორის დაკიდდული ხიდი. ლაშქრის ნაწილი ხელების დახმარებით გადადის).

ეთერის ოთახი. ეთერი მარტო წრიალებს საქორწინო სარკველზე. იგი სარკვეში იხედება და შიში იპყრობს. შემოდის აბესალომის და, რომელიც ცდილობს მის გართობას და უკრავს (.....).<sup>18</sup> შემოდის დედოფალი და შემოკაყავს ექიმბაში ქალი, რომელიც სინჯავს ეთერს და თავს გადაიქცევს.

წ ა რ წ რ ა : „ვილაცას გაუთვალავს, უნდა შევეულო-  
ცოთ“.

ბებრუცუნა ულოცავს (როგორ).<sup>19</sup>

მურმანი ფანჯარაში იჭყიტება.

ბერ-მონაზვნები და ქალები მთიან მღვიმეებში გარბიან სპარსელებისაგან თავის დასახსნელად. ქალები კიდული ჯაჭვებით ადიან მღვიმეებში. გლოვა, დიდ კალათებში ქვები ყრია თავდასაცავად და ა. შ.

ქართველთა ლაშქარმა გადალახა მდინარე დიდი ტიკებისაგან შევრული ტივით.

მღვიმის შიდა ხედი... მოხუცი მღვდელი წირავს, ყველას უჭირავს ანთებული სანთელი. წირვა წყდება განგაშის გამო. ყველანი სათოფურებს მივარდებიან და ქვებით იარაღდებიან.

სპარსელები ხელთ იღებენ იმ ხეობას, სადაც მღვიმეები თავმჯდომარეული ხალხია. ქალები და ბერ-მონაზვნები... ისინი ალყის მოსურნე მტერს ებრძვიან ქვებითა და ადულებული წყლით.

მურმანის ოთახი. იგი მწირის სამოსს იცვამს...

სპარსელთა მიერ ალყაშემორტყმული ქართული ციხესიმაგრე. სპარსელები იერიშზე გადადიან...

ეთერი სასახლის ბანზე. იგი დამწვრებულია და ნაღვლიანად გაქურდებს ვარსკვლავებით მოჭედილ მას. ბანს უახლოვდება მწირის სამოსიანი მურმანი. ცას ეთერთან გამოლაპარაკება სურს, მაგრამ ეთერი შეშინდება. მურმანი კი შესასხვებს:

წ ა რ წ რ ა : „მე ვიცი შენი ავადმყოფობის მიზეზი. ღმერთმა არ ინება შენი გადვლოფლება და დავსაჯა წრეგადსული სიამაყისათვის. გასცილდი აბესალომს და სხვას გააკვივი“.

ეთერს გული წაუვიდა... მის კივილზე შემობრბიან აბესალომის და, დედა და სხვები.

ეთერი მათ უყვება თუ როგორ მოველინა მწირი.

ალყაშემორტყმული ციხესიმაგრე. მცირე ხარნიზონი დამარცხებულია, მისი დამცველები ხანთან მიჰყავთ. ხანი მათ აიძულებს თაყვანი სცენ ნახევარმთვარეს; ხატებს აფურთხებენ, ჯვარცხა, დაუმორჩილებელთა წამება.

შემოკრებილ ტყვე აბესალომი. ხანი ზეიმობს, მაგრამ ხმალს უბრუნებს და ტყვევებულს. აბესალომი უარს აცხადებს მოწყალეზე და უკეზად ფეხით მიუვდებს ხმალს. გაბრაზებული ხანი ბრძანებს — შეიპყრონ აბესალომი და ორმოში ჩააგდონ.

ღამეა. აბესალომი მიჰყავთ პურის ორმოთან (ან ჭასთან)<sup>20</sup> და შიგ აგდებენ. ორმოს ყარაულობს სპარსი გუშაგი. ჭის შიდა ხედი. გატანჯულ-გაწამებული აბესალომი ზის მუხლამდე წყალში. მთვარის სხივი ვიწრო ზოლად ეცემა ჭის სარკველიდან.

ექიმები ამაოდ მკურნალობენ ეთერს...

ორმო... მთვლენარე აბესალომს ეთერი ელანდება.

მურმანის ოთახი. მურმანს ალულებს ნახევრად მთვარული მწირი... მურმანი მას კიდევ ასმევს დვინოს, ფულს აძლევს და ეუბნება:

წ ა რ წ რ ა : „ახლა ხელმწიფეს მიგებრი და რაც გასწავლი, ყველაფერი უთხარი“.

სპარსთა ბანაკი.

აქმალომის დასახსნელად სხვადასხვა მხრიდან მიიქპირიან ფშაველთა, ხევსურთა, სვანთა, იმერელთა, გურულთა, მგერელთა რაზმები.

მურმანს უკანა ფეხოდან სასახლეში შემოჰყავს მწირი.

ავადმყოფი ეთერი. მასთან არიან დაღონებული ხელმწიფე და დედოფალი. შემოდის მურმანი და რაღაცას უჩურჩულებს ხელმწიფეს. იგი დგება და ოთახიდან გადის მურმანთან ერთად.

სასახლის ოთახი. ხელმწიფე დაბალ სკამზე ზის, მის ფერხით — მწირი, კარებთან — მურმანი. მწირი ლაპარაკობს:

წ ა რ წ რ ა : „ზანება მომეგლინა, ხელმწიფეო. ისენს სახელმწიფო და ეს ქალიშვილიც; მისთვის შეუძლებელია დედოფლობა. დეე გაეყაროს აბესალომი. ღმერთი ახსნის ეთერს თავის ჯადოს, როცა იგი სხვას გაყვება... ეთერი გამოჯანმრთელდება, ხოლო უფლისწულს ღირსეული დედოფალი ეყოლება“.

ხელმწიფე ფულით აჯილდოებს მწირს, რომელიც მურმანს გამოჰყავს. ჩაფქირებული ხელმწიფე დინჯად იქნეს თავს.

აბესალომი ორმოში. უცებ იგი შეირხა, თითქოს რაღაც ჩქამი მოესმაო შემოდან.

<sup>18</sup> გამოტყვევებულია ფრჩხილებში ჩასასმელი მუსიკალური ინსტრუმენტის სახელო.

<sup>19</sup> აქ წერია სიტყვა „ჩარ“. ავტორი ალბათ ველისნობას — თუ როგორ ულოცავს, ე. ი. რას ამბობს, როგორ იქცევა. ყველაფერი ეს უნდა დაუხსტებულყო გადაღების წინ.

<sup>20</sup> ქვემოთ ავტორი ხან ორმოს ხმარობს, ხან — ჭას.

საქართველო ბანაკი... ქართველთა თავდასხმა. შეტაკება, ხასრულები გარბიან.

აბესალომი დგას და მიულეარებით იმსენს, რაც წემოთ ხდება. მოულოდნელად ორმო ჩირაღდნებით ნათდება... ეშვება თოკი. აბესალომი თოკს ტანზე შემოიხვევს და მალე-მალე ამოიღის.

ცხენზე ამხედრებული აბესალომი შემოუვლის მის მხსნელ ჯარის ნაწილებს.

სამეფო დარბაზი. აბესალომი თავყანს სცემს მამას და ნალავანს წარუდგენს.

ეთერის ოთახი. აღილეებული ეთერი აბესალომს ელის. აი, ესმის მისი ნაბიჯების ხმა; ეთერი სარკეს მივარდება, სასოურაკვეთილი აქვერდება საკუთარ სახეს. სარკეს მოსწყდება. უცებ ხელს დააკლებს მანდილს და სახეს იბურავს. შემოდის აბესალომი. მათი შეხედვა... აბესალომს უნდა, მოხსნას საბურავი და აკოცოს, მაგრამ ეთერი მაგრა ჩაებლაუჭება საბურავს, რათა არ აჩვენოს დაწყულეებული სახე. აბესალომმა იძალა, ასწია ლეჩაქი და შეძრწუნდა, უკან დაიხია.

აბესალომი წყაროსთან; იგი მტირალა ტირიფის ქვეშ მწარედ დასტირის თავის სიყვარულს... მასთან მიდის მურმანი. იგი თანაურწმობს მას და უცდება.

წ ა რ წ უ რ ა : „შენს არყოფნაში აქ ერთმა მწირმა ჩამოიარა, რომელსაც ეთერის ამბავი ეზმანა, მაგრამ ვერ გავიყოვრებ მის ნაუქვამს“. აბესალომი სისოეს მურმანს, რათა ყოველივე მოუყვას... მურმანი ისე აჩვენებს თავს, თითქოს ცლოლობს, რომ გული არ ატკინოს აბესალომს... აბესალომი მამასთან მიდის. მურმანი ბოროტად ჩაიცინებს. ხელმწიფის პატარა ოთახი. თვალცრემლიანი აბესალომი მუხლებზე დგას მამის წინაშე.

მამა თავზე უსვამს ხელს.

წ ა რ წ უ რ ა : „რა ჯნათ, შვილო. ჩანს, ღვთის ნებაა— გაუწვი ეთერი, იხსენ იცნა და სახელმწიფოც“.

აბესალომის სასოწარკვეთა. მოხუცი ხელმწიფე შვილთან ერთად ტრისი, მერე აბესალომს წამოყვანებს; ისინი ერთად ლოცულობენ სიძველისგან ჩამოქუებული ხატების წინ.

ტაძრის ეზო. ტაძრის კარიბჭეზე — კათალიკოსი და სამღვდლოები. ამაღლებულ ადგილზე ზის გულდამძიმებული აბესალომი. მასთან არიან დედა, მამა და და. უამრავი ხალხი დაძაბულია მოლოდინისგან. ქალებს ეთერი შემოჰყავთ. კათალიკოსი კიბოხლობს აბესალომისა და ეთერის განქორწინების აქტს. ეთერს გული მისდის... აბესალომი მივარდება (მას)<sup>21</sup> და კაბის კალთას დაუკოცინს, შემდეგ აიბრუნება კიბეზე და ხალხს მიმართავს.

წ ა რ წ უ რ ა : „რა ჯნა. როგორც ჩანს, დმერთმა არ ინება ჩემთვის ეთერის ცლოლობა“. იგი ტრისი... ხალხიც... აბესალომი ეთხოვება ეთერს და კვლავ მიმართავს ხალხს.

წ ა რ წ უ რ ა : „ხალხო, ვის გინდათ ქალწული ეთერი?“

მურმანი წინ წამოდგა. აბესალომი შეეცუნდა და, თითქოს რაღაცს ხვდებოდა, გამომცვლად შესჰქერის მურმანს... შემდეგ ნელ-ნელა გადასცა ეთერის ხელი. მურმანმა როგორც კი შეახო ხელი ეთერს, მას წამსვე გაუქრა წყლულეები სახეზე და კვლავ მზეთერხავად იქცა. ყველა გააკვირვდა სასწაულმა. აბესალომი ეთერისკენ გაიწია, მაგრამ ხელმწიფემ და კათალიკოსმა შეაკავეს. აბესალომს გული მის-მის. მურმანმა შედიღურად გაატარა ეთერი ხალხში... ეთერი თვალს არ აშორებს აბესალომს...

ტაძრის გალავანთან, კაკლის ხეების ქვეშ, ქვაზე უგონოდ წევს აბესალომი. დედას, დასა და ქალბის იგი გრძობაზე მოკვავთ. და მკერდს უღელავს, რათა წყალი აკეკრონ და მოასულიერონ. აბესალომის მკერდზე ნელა მიფონანს სისხლის წვეთი.

მესამე ნაწილის დასასრული

მეთხე ნაწილი

უღრანი ტყე. მურმანი ტყეში დახეტიალობს; ბოლოს შედგა, მოჭირა ტოტებისაგან ჯვარი ეფერა, ფიჩხი შემოუწყვი და ცეცხლი წაუკვიდა... კვამლიდან ჩნდება ტინკა და მურმანს გეითხება — რა გინდაო. მურმანი უჩივის.

წ ა რ წ უ რ ა : „ეთერი ჩემთანაა... მაგრამ აბესალომის მემინა, იმისი დარდიც მკლავს, რომ ეთერი გამეცეკვა... მოდი, ისე მომიხერხე, რომ შვიდიად ვიყო“...

ტინკა ასწავლის:

წ ა რ წ უ რ ა : „მოადექ ცხრა ქარავს, იპოვე ცხრა გველის ცხრა ბუდე, იქიდან აიღე გველის ცხრა კვერცხი, დააგორე ისინი ცხრა მთის ფერდობიდან და აღმოცვენდება ცხრა მიუღებელი ციხესიმაკრე. მათ შუაში ჩამარხე ეთერის ცრემლები და იქვე გაჩნდება ბროლის კოჭი. იქ ვერავინ შეაღწევს შენთან და ეთერიც ვერ წაგვივა“.

მურმანი მადლობას უხდის და მიდის.

ავადმყოფი აბესალომი, რომელსაც თან ახლავს და. იგი შესტერის ძმას და ამბობს:

წ ა რ წ უ რ ა : „ო, ძმაო, გავიდა ცხრა კვირა და ცხრა წვეთი სისხლი გამოვიდინა გულზე“.

დამ აბესალომს სისხლი მოსწმინდა მკერდზე, მაგრამ გასუთავებულ ადგილზე კვლავ გამოიჩინა ახალმა წვეთმა.

მურმანი გველებიან ქარაფებზე. ასობით გველი იღვლანჭება და ფუფუფოებს. შიშნაჭამი მურმანი დაბოროლებს მათ შორის და გველთა კვერცხებს ეძებს. აგროვებს ცხრა კვერცხს და დველეების შიშით დამფრთხალი მთებში გაბრბის.

კომში ჩაკეტილი ეთერი. მოკუნტულა, დაწვებულ ცრემლებს სდის. ეთერი ხსნის აბესალომის მიერ ნაწიქვარი ბუტყის საბურავს და მასში ფრთხილად აწვეუებს ცრემლს; შემდეგ ბურავს ბუტყის სარქველს და ჩურჩულით კოცინს.

21 ტექსტი ეს სიტყვა გამოტოვებულია.

წარწერა: „ცხრა კვირა გავიდა უკვე, რაც შენ დაგ-  
შორდი და ცხრა კურცხალი ჩაეწურე შენს ცხრა სუნთქვა-  
ში“.

იგი კონცის ბეჭედს და ტირის.

მურმანი ცხრა მთას შორის. იგი მალღობიდან ცხრა-  
ჯერ აგორებს თითო კვერცხს. ერთმანეთის გვერდით მთებ-  
ზე წრიულად აღინათება ცხრა ციხესიმაგრე.

ეთერის ოთახი. იგი კაემანს მოუცავს და ბეჭედს დას-  
ცქერის. შემოდის მურმანი, ეთერს ეფერება, მაგრამ ქალი  
ფრთხილად ინთავისუფლებს თავს მისი ხელუბნისგან. მაშინ  
მურმანი სთხოვს აბესალომის ნაჩუქარ ბეჭედს. შემგრთალი  
ეთერი უნეს აცხადებს. მურმანი ძალით წვალებს თი-  
თიდან... მურმანი მსახურებს უსმობს; ისინი შეკოტავენ  
ეთერს და მურმანს გაჰყვებიან.

მურმანს ცხენი მიართვეს. იგი შეჯდა ცხენზე. მსახუ-  
რებს გამოაკაყო შეკოტილი ეთერი და უნაგირზე გადააკი-  
დებენ გარდღიარდნო. მურმანი დაიძრა თავისი ძვირფასი  
ტყორით.

სამეფო დარბაზები. ჩაფიჭრებული ხელმწიფე ტახტ-  
ზე ზის. შემოდის ავადმყოფი აბესალომი, რომელსაც ფეხ-  
დაფეხ მოსდიდვენ დედა და და. აბესალომი მუხლს იყრის  
მამის წინაშე და ეაჯება.

წარწერა: „მანაცა კვედები, მამავ ბატონო, მომეცი  
ნება, გავმზახურო და თვალი მიხეც შეველო ეთერს“.

მამა ცრემლებს იწმინდს... დედა და შეიღს ლოცავს.

მურმანი ეთერითურთ უახლოვდება ციხესიმაგრეს. მან  
გაიარა ცხრა კარი. უკანასკნელ გაღავანთან ჩამოხტა ცხე-  
ნიდან, ჩამოხტის შეკოტილი ეთერი და კედელთან მიაწვი-  
ნა. თავად მისი კორტოსზე ავიდა, ხნაჯლით ამოთხარა  
ორმო და შიგ ჩაფლა ეთერის ცხრა კურცხლით საყე აბე-  
სალომის ნაჩუქარი ბეჭედი. შემდეგ იქაურება განერიდა.  
კლდის თავზე ბროლის კოშკი ამოიხარდა.

აბესალომი დით, დედითა და ამალით მოდის გზაზე.  
ისინი შორიდან ხედავენ მურმანის ახალ ციხესიმაგრეს.

მურმანმა ეთერი შეიყვანა კოშკის წრიულ ოთახში; ქა-  
ლი იქ დატოვა, კარები დაგმანა და წაივდა. ეთერი მარ-  
ტოა... ფანჯარაში გახედვა უნდა, მაგრამ სარკმელი ძალზე  
მალაა.

კარები. მურმანი ბოქლომს ადებს კარებს.

აბესალომი და მისი ამალა დგანან მურმანის ახალი  
ციხესიმაგრის წინ. აბესალომი ბრძანებს — აქ დასცენ  
მისი კარები და საკრავებში ჩაბეჭონ.

ციხესიმაგრის სათოფურთან მურმანი გამოჩნდება. აბე-  
სალომი უბრძანებს, რომ გასლოს.

აბესალომის კარაი... შემოდის მურმანი. აბესალომი  
და მურმანი საურბობენ.

წარწერა: „.....“<sup>22</sup> და ა. შ.

აბესალომს გული მიადის. დედოფალი მიმართავს  
მურმანს.

წარწერა: „თუ მართლა ერთგული მსახური ხარ  
შენი ხელმწიფისა და იგი გებრალბა, წადი, ცხრა წყარო-  
დან მიუტანე უკვდავების წყალი,<sup>23</sup> რათა აბესალომი განი-  
კურნოს“.

მურმანი თავს უბრის დედოფალს და მიდის.

ეთერის კოშკი. შემოდის მურმანი და ეთერს აუწყებს,  
რომ ციხესიმაგრის კედელთან დგას აბესალომი. ეთერი შე-  
კრთა. მაშინ მურმანი ხელში წვდება ეთერს და ეუბნება:

წარწერა: „უკვდავების წყლის მოსატანად მგზავ-  
ნიან. ცხრა დღის მანძილზე გზაში ვიქნები და ვაი შენ, თუ  
ამ დროს განახავს აბესალომი. მურმანი მიდის და კარებს  
კეტავს. ეთერს გარეთ გაღწევა უნდა. იგი აბესალომის  
მიერ ნაჩუქარი დანაბი საფეხურებს აკეთებს კედელზე, რა-  
თა სარგებლამდე მივიდეს.“

ცხენზე ამხედრებული მურმანი გადის ციხესიმაგრის  
ტიშკიდან. ტიშკარი იტყება. მურმანი ეუმჯრება გუმბავს,  
ვაი შენს ტყავს, თუ კარგად არ მოგივლია ციხესიმაგრის-  
თვისო და მიდის...

ეთერი კედელზე მიცოცავს, სარკმლისკენ მიიწევს.

აბესალომი ციხის კედლებთან. იგი გარშემო უკლის  
პირველ კედელს და ეთერს უხმობს. წყე რომ დაასრულა,  
თითი დაიხველა საკუთარი სისხლის წვეთით და კედელზე  
ჯვარი გამოსახა. პირველი კედელი ინგრევა.

ოთახის კედელს ჩაბდაუჭებული ეთერი ფანჯრიდან  
იყურება.

აბესალომი უკლის მეორე კედელს. იგი საკუთარი სის-  
ხლით ჯვარსა სვამს კედელზე და მეორე სიმაგრეც ინგ-  
რევა.

წარწერა: „ასე ყოველდღიურად ეცლებოა ძალა აბე-  
სალომს. მან რვა ციხე შემოიარა, მაგრამ მეცხრე სიმაგ-  
რის შემოვლა დაუნხარებლად აღარ ძალუძს“.

დედა და და აბესალომს შემოატარებენ უკანასკნელ სი-  
მაგრეს, უკანასკნელი წვეთი სისხლით იგი ჯვარს მიახა-  
ტავს კედელზე და სიმაგრეც ილღევა.

დასა და დედაზე დაყრდნობილი აბესალომი დგას  
ცადაწვილი ბროლის კოშკის წინ, რომლის საკრავიდან  
ეთერი იცქირება...

კოშკის შიდა ხედი. ეთერი წრიულს — არ იცის,  
როგორ ჩაადღის აბესალომამდე, ბოლოს, აბესალომის ნა-  
ჩუქარი დანაბი იჭრის ნაწაწავებს და მისგან თვის გრებს...

შომაკვდავი აბესალომი წევს თავის კარავში და თვალს  
არ აცილებს ეთერის სარკმელს. სარკმელში გაივლებს

<sup>22</sup> აქ გამოტოვებულია მოლე წინადადება. ცხადია, ეთერზეა  
საუბარი.  
<sup>23</sup> ტექსტშია — привези живую воду..

ეთერის ხელი, რომელიც თვად ქმეულ ნაწნავებს აბამს. შემდეგ ეთერი თავად გადმოძვრება სარკმლიდან და ნელა ეშვება ჩალოჩით.<sup>24</sup> თავზარდაცემული აბესალომი თვალს ადევნებს ეთერის ყოველ მობრაობას.

აბესალომის კარავი. ნახევრად წამომჯდარი აბესალომი უცდის ეთერს. აი, ისიც გამოჩნდა ზღურბლზე. აბესალომი მითითოდ ვერ ხელებს იწვდის ეთერისკენ, წარმოთქვამს ერთადერთ სიტყვას — „ეთერი“ და სულს ღვებს... შიშვენიერებული ეთერი დასცქერის სატრფოს უსაცოცხლო სხეულს... შემდეგ იძრობს აბესალომის დანას და ჩურჩულებს.

წ ა რ წ ე რ ა : „მან თქვა: დაე, ამ ხანჯლის შეიღმა გააპოს ის გული, რომელიც სიყვარულს უღალატებსო... მე... მე ვუღალატე: მისი სიცოცხლე ჩაქრა, მე კი კიდევ მიღვას სული“... იგი ნელა იყრის დანას მკერდში და მიწაზე ეცემა...

დაჭრილი ეთერი მიზობავს აბესალომის საწოლისკენ, ემთხვევა მის უსიცოცხლო გადმოიკიდებულ ხელს და კედლა...

მურმანს ხაპით მოაქვს უკვდავების წყალი და ცხენს გამეტებით მოაგეღვებს შინისკენ.

აბესალომისა და ეთერის დაკრძალვა. ხალხი ჯგროდ, სამღვდლოება, ხელმწიფე... დაკრძალვის ადათწყესები; ხელით მიაკეთებენ კუბო: აბესალომ — ჭაბუკისა და ეთერ — ქალწულისა. პროცესია უახლოვდება საფლავებს და ა. შ.

საფლავის ორი ბორცვი. შორით მოჩანს მურმანისეული ბროლის კოშკის ხედი.

<sup>24</sup> ჩალიჩი — თამებისა, თივისა და მისთანათვან დაკრებილი თოკი.

ცხენისანი მურმანი უახლოვდება თავის ციხესიმაგრეს. იგი შეადრწუნა მიმონგრეულმა ციხესიმაგრეებმა. ჩამოსხტა ცხენიდან და სიმაგრეში შეიჭრა... აივანზე ავარდა.

ეთერის ოთახი. შემობრბის მურმანი; იგი შლევით აწყდება აქეთ-იქით.

მურმანის ციხესიმაგრე; მურმანი აივანზე გამოიბრბის და ხედავს სარკმელზე გადმოიკიდებულ ეთერის ნაწნავებს.

კვლავ თავგამეტებით მიძრობს.

ორი საფლავი. მურმანი გარბის და ფეხს წამოკრავს საფლავის ორ ახალ ბორცვს. შეცბა... იგი ფრჩხილებით თხრის საფლავებს... შემდეგ რალაც იაზრა — საფლავებზე ასხამს უკვდავების წყალს... ერთ საფლავზე ამოღდა ია, მეორეზე — ვარდის ბუჩქი... გაყოფილი მურმანი საფლავებს შორის თხრის სამარეს... მურმანი სამარეში ჩადგება და ცოცხლად იმარხავს თავს.

საფლავის სამი ბორცვი. ერთს ია ამშვენებს, მეორეზე ვარდი აყვავის, მესამეზე ეკლიანი კვინჩხი ამოსულა.

წ ა რ წ ე რ ა : „ასე აღმოცენდა ია ეთერის ნეშტიდან, ვარდი — აბესალომისგან, ხოლო ასკილი — მურმანისგან. როცა ნიაგი ერთმანეთისკენ გადახრის ვარდსა და იას, ეკლიანი კვინჩხი ჩხვლეტს მათ, თითქოს იას იცავს ვარდის შეხებისგან... საფლავის ბორცვები. ნიაგი ერთმანეთისკენ ხრის ვარდსა და იას, მაგრამ კვინჩხი უშლის, ჩიკონებას არ ანებებს...“

დასასრული

8/III — 1925 წ.  
ქ. ტფილისი.

კინოსცენარი რუსულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გიმი ბოკუბაძემ.

თბილისი, 1973 წლის თებერვალი.

## მინ არის ღა მის რიქში?

### პასუხი მხატვარ ნომრის ფორმად

ჩვენი ქორნალის მეხუთე ნომრის 112-ე გვერდზე დაბეჭდილია კადრი კ. მარჯანიშვილის ფილმიდან „კრაზანა“.

რედაქციას სწორი პასუხები გამოუგზავნეს: დ. გაბილიამ (აბაშა), თ. ელბაქიძემ, მ. ჩხარტიშვილმა, ლ. ბიწაძემ, ჯ. ცომაიამ (თბილისი), გ. ანთიმემ (ლანჩხუთი, ჩოჩხათი), ვ. რუხაძემ, ნ. მალაკელიძემ (წულუციძე), რ. ქინქლაძე (ფოთი).

